ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4845170

ნომერი: AR1725621

თარიღი : 20.12.2019

გაცემის თარიღი : 26.02.2020

გაცნობის თარიღი : 04.03.2020

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ელგუჯა ამაშუკელის ქუჩა, N 14;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან დევდარიანი პ/ნ 42001003777
- ქ.თბილისი, პეტრე იბერის ქ.#14, ბინა #41

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 20 კუბ.მ-მდე მოცულობის 10 მ-მდე სიმაღლის და 10 მ-მდე ჩაღრმავების მქონე ნაგებობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა 2019 წლის 20 დეკემბრის თქვენს მიერ ელექტრონულად წარმოდგენილი №AR1725621 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ფერდობი ნუცუბიძე, ქუჩა ინტენსიფიკაციის, ნაკვეთი 01/213, შპს „GLG-GROUP“-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე თხევადი აირის სტაციონარის, როგორც დროებითი დანადგარის განთავსებაზე თანხმობას. ამასთან, აღნიშნულს ითხოვთ I კლასს დაქვემდებარებული შენობა–ნაგებობების მშენებლობა/განთავსებისთვის დადგენილი წესით, მხოლოდ ადგილმდებარეობის მითითებისა და ცისტერნის განთავსების ფოტო– მონტაჟის წარმოდგენის საფუძველზე. გაცნობებთ რომ „გაზსავსები პუნქტი“, ანალოგიურად გაზგასამართი სადგურისა, განეკუთვნება IV კლასს დაქვემდებარებულ შენობა–ნაგებობებს და იგი საჭიროებს მშენებლობის ნებართვის გაცემას სამივე სტადიით, რომელთაგანაც I სტადიაზე, როგორც სხვა ადმინისტრაციული ორგანო, ჩართული უნდა იქნას სსიპ – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით თქვენი მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდება

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.